სსიპ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭანჭათის საჯარო სკოლა

გამარტივებული ელექტრონული ტენდერი.
(შესყიდვის კატეგორია – 45400000)

სატენდერო დოკუმენტაცია

<u>შესყიდვის ობიექტის ღირებულება 3681 ლარი</u>

1.ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების შესაბამისად.

1.2 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად

1.3 იმ შემთხვევაში, თუ ტენდერში ყველაზე დაბალი ფასის წინადადების მქონე პრეტენდენტის მიერ სისტემაში დაფიქსირებული საბოლოო ფასი 20%-ით ან მეტით დაბალია შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაზე, შემსყიდველი ორგანიზაცია პრეტენდენტისაგან ითხოვს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებას, რაზეც პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას ექსპერტის მიერ გაცემული შესაბამისი დასკვნა (დასკვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას დასკვნის გამცემი პირის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი). ექსპერტიზის დასკვნის წარმოუდგენლობა ან/და უარყოფითი დასვნის წარმოდგენა გამოიწვევს შესაბამისი პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას. ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებაზე ვრცელდება „ გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანების მე-12 მუხლის მე- 11–მე-14 პუნქტებით განსაზღვრული წესები.

1.4 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია უნდა იყოს ხელმოწერილი და ბეჭედდასმული (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) უფლებამოსილი პირისგან. (საჭიროების შემთხვევაში სისტემაში უნდა აიტვირთოს მინდობილობა ან რწმუნებულება).

1.5 სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში სატენდერო წინადადების წარდგენით პრეტენდენტი ავტომატურად გამოხატავს თანხმობას სატენდერო დოკუმენტაციაში განსაზღვრულ მოთხოვნებზე.

1.6 ერთიან ელექტრონულ სისტემაში პრეტენდენტის ატვირთული ყველა დოკუმენტი უნდა იყოს ქართულ ენაზე, ან ქართულ ენაზე ნათარგმნი, დამოწმებული ნოტარიული წესით,ტექნიკური დოკუმენტაციის განხილვისას უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.7.ტენდერში გამოყენებული იქნება სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია (ელექტრონული გარანტია) სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%- ის ოდენობით, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრება 120 კალენდარული დღით ტენდერისათვის „წინადადებების მიღება დაწყებულია” სტატუსის მინიჭების ეტაპიდან.

1.8. სატენდერო საფასურის ოდენობა შეადგენს 50 ლარს.

1.9 ელექტრონული გარანტიის ბენეფიციარი/მიმღები არის სააგენტო. ელექტრონული გარანტიის სააგენტოსთვის წარდგენა და საფასურის გადახდა ხორციელდება სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების მეშვეობით. ელექტრონული გარანტიისა და საფასურის წარდგენა ხდება ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთამდე.

1.10 სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.11. მომწოდებელი ვალდებულია გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს. რა სახითაც იგი წარმოდგენილი იქნება სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების და ტექნიკური დოკუმენტაციის წამოდგენამდე.

2.ტექნიკური დოკუმენტაცია
2.1 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა და ღირებულება.
2.1.1 შესყიდვის ობიექტის აღწერილობა

ჭანჭათის სკოლის სამი ოთახის შეკეთება_ 3681 ლარი

2.1.2. სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.
2.1.3. შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულებაა 3681 ლარი; დაფინანსების წყარო: სახელმწიფო ბიუჯეტი.
2.2. ანგარიშსწორების პირობები და მიწოდების ვადა:
2.2.1. ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) დღის ვადაში.
2.2.2. ანგარიშსწორება შესაძლებელია მოხდეს ეტაპობრივად, ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად, შესრულებული სამუშაოების მოცულობიდან გამომდინარე,მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15(თხუთმეტი) დღის ვადაში.
2.2.3. საავანსო ანგარიშწორება არ გამოიყენება.
2.2.4.სამუშაოების შესრულების ვადაა ხელშეკრულების გაფორმებიდან 40 კალენდარული დღე.
2.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი:
2.3.1 საბოლოო და შუალედურად შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შექმნილი სპეციალური კომისიისაგან შედგენილი და ხელმოწერილი შესაბამისი აქტის საფუძველზე.
2.4 გარანტია
2.4.1. შესრულებული სამუშაოების საგარანტიო ვადაა 2(ორი) წელი,მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან,რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით აღმოფხვრას ექპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზები, გარდა იმ შემთხვევისა როცა ხარვეზები გამოწვეულია არასწორი ექპლუატაციის ან/და მექანიკურად მიყენებული ზიანის გამო.
2.5. სისტემაში ასატვირთი დოკუმენტაცია როგორც ფიზიკური, ასევე იურიდიული პირებისათვის:
ა) პრეტენდენტის რეკვიზიტები (დანართი №1)
ბ) ხარჯთაღრიცხვა - სამუშაოს მოცულობების გაფასება, დანართი №2-ის შესაბამისად (იხ. მიმაგრებული ფაილი-დანართი №2).

3. დამატებითი ინფორმაცია:
დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისგან: ნანული შაინიძე

ტელ: 577 62 42 04; ლანჩხუთი, სოფ ჭანჭათის სკოლა.

4. ხელშეკრულების სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ხელშეკრულების პირობების საბოლოო ვარიანტი შეიძლება დაზუსტდეს და დაიხვეწოს ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტთან ხელშეკრულების გაფორმების პროცესში

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო, ერთის მხრივ ---------- (შემდგომში „შემსყიდველი“) (შემსყიდველის დასახელება და იურიდიული მისამართი) და მეორეს მხრივ ---------- (შემდგომში „მიმწოდებელი“) (მომწოდებლის დასახელება და იურიდიული მისამართი) შორის და მიღწეულ იქნა ურთიერთშეთანხმება შემდეგზე: შემსყიდველმა გამოაცხადა ტენდერი ---------- სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე

(სამუშაოს მოკლე აღწერა) და მიიღო მიმწოდებლისაგან სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე შემდეგ თანხაზე: ---------- (შემდგომში „ხელშეკრულების ფასი“, „ხელშეკრულების ღირებულება“).

1. გამოყენებული ტერმინების განმარტებები ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

1.1 ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ (შემდგომ _ ხელშეკრულება) _ შემსყიდველ ორგანიზაციასა და ტენდერში გამარჯვებულ პრეტენდენტს შორის დადებული ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით და დამატებებით და ასევე მთელი დოკუმენტაციით, რომლებზეც ხელშეკრულებაში არის მინიშნებები.

1.2 ხელშეკრულების ღირებულება ნიშნავს საერთო თანხას, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა ორგანიზაციამ მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის;

1.3 შემსყიდველი ორგანიზაცია (შემდგომ შემსყიდველი) ნიშნავს ორგანიზაციას (დაწესებულებას), რომელიც ახორციელებს შესყიდვას;

1.4 მიმწოდებელი ნიშნავს პირს, რომელმაც მოიპოვა გამარჯვება ტენდერში და უზრუნველყოფს სამუსაოების გაწევას სახელმწიფო შესყიდვის შესახებ მოცემული ხელშეკრულების ფარგლებში;

1.5 დღე; კვირა; თვე; -ნიშნავს კალენდარულ დღეს, კვირას, თვეს.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს ——————— სამუშაოების შესყიდვის (შემდგომში – “შესყიდვის ობიექტი” ან “სამუშაოები”).

2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

2.1. კონტროლს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებასთან დაკავშირებით განახორციელებს სპეციალური ჯგუფი (ინსპექტირების ჯგუფი) ან/და შემსყიდველის მიერ საამისოდ უფლებამოსილი პირი, რომლებიც ამოწმებენ ხელშეკრულების მიხედვით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის: სამუშაოების ფორმასა და ხარისხს, შესრულებული სამუშაოს შესაბამისობას პროექტთან.

2.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა;

2.3. მიმწოდებლის გასაწევ, ან უკვე გაწეულ სამუშაოებზე კონტროლი (ინსპექტირება) ხორციელდება სისტემატიურად შემსყიდველის შეხედულებისამებრ;

2.4. შემსყიდველი მიმწოდებელთან ერთად აწარმოებს კონტროლს სამუშაოების მიმდინარეობაზე, თანახმად საქართველოში მოქმედი სამშენებლო ნორმების, სტანდარტების და წესებისა, რომელთა დარღვევის შემთხვევაში შემსყიდველი უფლებამოსილია შეაჩეროს სამუშაოები და განახორციელოს ამ ხელშეკრულებითა და კანონმდებლობით გათვალისწინებული სანქციები;

2.5. შემსყიდველი ან მის მიერ საამისოდ შერჩეული პირი ვალდებულია მიმწოდებელთან ერთად აწარმოოს სამუშაოების შესრულებაზე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების მიმდინარეობის კონტროლი;

2.6. ხელშეკრულების ფარგლებში ანაზღაურებული იქნება მხოლოდ იმ სამუშაოების ღირებულება, რომლის მოცულობასა და ხარისხზე არსებობს შემსყიდველის მიერ შერჩეული ინსპექტირების ჯგუფის მიერ შედგენილი შესაბამისი დამადასტურებელი აქტი. სამუშაოს დასრულების შემდეგ შემსრულებლის მიერ წარმოდგენილი უნდა იქნას შესრულებული სამუშაოს ხარისხსა და მოცულობაზე ექსპერტიზის

დადებითი დასკვნა, რომლის საფუძველზეც მოხდება სამუშაოს საბოლოო ჩაბარება. ექსპერტის შერჩევა მოხდება შემსყიდველთან შეთანხმებით.

3. სამუშაოს შესრულების პირობები

3.1. მიმწოდებელი ვალდებულია შეასრულოს სამუშაოები, ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. შემსყიდველთან შეთანხმებული ტექნიკური დავალების შესაბამისად, საქართველოში მოქმედი ყველა საჭირო ნორმების, სტანდარტებისა და წესების მოთხოვნების დაცვით;

3.2. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაოთა შესრულებისას დაიცვას შრომის უსაფრთხოების ნორმები და პირობები;

3.3. მიმწოდებლი ვალდებულია სამუშაოთა შესრულებისას არ დააზიანოს შემსყიდველის ქონება. თუ ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლინდება მიმწოდებლისაგან შემსყიდველის ქონების დაზიანების ფაქტი და შედგა შესაბამისი აქტი, მიმწოდებელი ვალდებულია სრულად აანაზღაუროს მიყენებული ზარალი. იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველის მიერ ზიანის ანაზღაურების თაობაზე მიმწოდებლისთვის ოფიციალურად გაგზავნილი შეტყობინებიდან 20 დღის განმავლობაში მიმწოდებლის მიერ არ ანაზღაურდება ზარალი სრული ოდენობით, შემსყიდველი უფლებამოსილია, ზიანის ოდენობის ფარგლებში, მიმწოდებელს არ აუნაზღაუროს შესრულებული სამუშაოს ღირებულება;

3.4. მიმწოდებელი ვალდებულია ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულებისას იხელმძღვანელოს ხელშეკრულებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემული პირობების მიხედვით, რომელიც წარმოადგენს ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

3.5. შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში და პირობებით;

3.6. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად.

3.7. სამუშაოს შესრულების ვადა : 2016 წლის ------ ----------

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. შესყიდვის ობიექტის (სამუშაო) ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ;

4.2 .შესყიდვის ობიექტის ან მისი ნაწილის (შუალედურად შესრულებული სამუშაოები) მიღება-ჩაბარება მოხდება შემსყიდველი ორგანიზაციის ხელმძღვანელისგან შექმნილი ინსპექტირების გჯუფის მიერ შედგენილი და ხემლოწერილი აქტის საფუძველზე.

4.4 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შემდეგ გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი, კონკრეტული სიტუაციიდან გამომდინარე, შემსყიდველისაგან განსაზღვრულ გონივრულ ვადაში;

4.4 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს შემოწმების შემდეგ დაწუნებული შესყიდვის ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით;

5. .ანგარიშსწორება

5.1 შუალედური და ასევე საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე რომელიც ფორმდება შემსყიდველი ორგანიზაციისაგან შექმნილი სპეციალური კომისიის მიერ შედგენილი და ხემლოწერილი აქტის საფუძველზე.

5.2 ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება გადარიცხვით მიღება- ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 დღის ვადაში;

5.3. იმ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული გარემოებების გამო, მიმწოდებლის მიერ შესრულებული სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხაზე ნაკლები, შემსყიდველი აუნაზღაურებს მიმწოდებელს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულებას ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული ერთეული ფასების შესაბამისად.

5.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

6. გარანტია.

6.1 შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა განისაზღვრება არანაკლებ 2 (ორი) წლით მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების დღიდან, რომლის განმავლობაშიც მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს ექსპლუატაციის პროცესში წარმოქმნილი ხარვეზების აღმოფხვრა, გარდა იმ

შემთხვევებისა როცა ხარვეზები მიღებულია მიმწოდებლისგან დამოუკიდებელი მიზეზების, არასწორი ექსპლუატაციისა და მექანიკურად მიყენებული დაზიანების გამო.

7. ფასები

7.1 მიმწოდებლის დაფიქსირებული შესასრულებელი სამუშაოების ფასი წარმოადგენს ხელშეკრულების ღირებულებით პარამეტრებს.

7.2 ხელშეკრულების ღირებულებითი პარამეტრების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.

7.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

8. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მხარეები ერთმანეთის წინაშე პასუხს აგებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2. შესყიდვის ობიექტის საბოლოო მოწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში მომწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0.6%-ის ოდენობით.იმ შემთხვევაში თუ შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაგადაცილება აღემატება 5 დღეს შემსყდველს შეუძლია ცალმხრივად შეცწყვიტოს ხელშეკრულება.

8.3 მიწოდების ვადამდე ხელშეკრულების ცალმხივად შეწყვეტის შემთხვევაში,რომელიც გათვალისწინებულია ამ ხელშეკრულების მე-10 მუხლის მე-10.3. პუნქტში, მიმწოდებელი დაჯარიმდება სახელშეკრულებო ღირებულების 2%-ის ოდენობით.

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1 მიმწოდებელსა და შემსყიდველს შორის ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქნმნილი სადაო საკითხების გადაწყვეტა მოხდება ურთიერთმოლაპარაკების გზით, ხოლო შეუთანხმებლობის შემთხვევაში სასამართლოს გზით, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების შეწყვეტა.

10.1. შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებელის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში;

10.2. შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, თუ:

ა) მიმწოდებლის მიმართ დაიწყო გაკოტრების საქმის წარმოება;

ბ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

10.3. შემსყიდველი უფლებამოსილია ვადამდე ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება თუ:

ა) მიმწოდებელი არაჯეროვნად ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სამუშაოებს.

ბ) კალენდარული გეგმა-გრაფიკიდან 10 დღეზე უფრო მეტი ვადით ჩამორჩენის შემთხვევაში.

გ) მიმწოდებელი სამუშაოების შესრულებას არ დაიწყებს ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 დღის განმავლობაში.

10.4. შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება, მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

11. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხრის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.
11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.
12. დამატებითი პირობები
12.1. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას;
12.2. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია;
12.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, რომელთაგან თითოეულს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება შემსყიდველთან და მიმწოდებელთან;
12.4 წინამდებარე ხელშეკრულების ყველა ცვლილება და დამატება ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი შედგენილია წერილობითი სახით და ხელმოწერილია ორივე მხარის სრულუფლებიანი წარმომადგენლის მიერ.
13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა
ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის_____

რეკვიზიტები

შემსყიდველი	მიმწოდებელი
_____	_____

დანართი №1

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

ტელეფონის ნომერი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის დასახელება და კოდი:

ანგარიშის ნომერი:

(ხელმოწერა) ბ. ა.